

ელექტრომანქანების ენერგოეფექტური ქარხნის  
კომპლექსი ქალაქ ფოთში

ნაშრომის ავტორი ნინო ცხადაია

თანამედროვე არქიტექტურისა და მდგრადი განვითარების  
პროგრამა/საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფალულტეტი

ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019

## აბსტრაქტი

**შესავალი:** თანამედროვე მსოფლიოში მწვავედ დგას დედამიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მისი ჯანსაღი ეკოსისტემის შენარჩუნების თემა. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა მწვანე არქიტექტურაა, რომელიც დროსთან ერთად უფრო და უფრო აქტუალური და ხელმისაწვდომი ხდება. იქედან გამომდინარე, რომ ეკოლოგიის დაბინძურებაში დიდი წვლილი ქარხანა-ფაბრიკებსა და საწარმოო საქმიანობას ეკუთვნის, მწვანე დიზაინერებმა ამ სფეროს ათვისებაც დაიწყეს. წარმოდგენილი კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ფარგლებში მწვანე არქიტექტურის ინდუსტრიული ვერსიის შექმნის შესაძლებლობა, კერძოდ, ქალაქ ფოთის ტერიტორიისთვის თანამედროვე მდგრადი არქიტექტურის პრინციპებით შეიქმნას ელექტრომანქანების ენერგოეფექტური ქარხანა.

**მეთოდოლოგია:** კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც საერთაშორისო თანამედროვე პროექტირების სტანდარტები და სპეციალიზირებული ლიტერატურა მდგრადი არქიტექტურის დარგში, ისე საქართველოს ფარგლებში მოქმედი დადგენილება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ. ამასთანავე მოხდა შერჩეული ტერიტორიის და მსგავსი სანიმუშო მაგალითების შესწავლა.

**შედეგები:** ქართული სამშენებლო კოდექსების შესწავლა აჩვენებს, რომ მდგრადი არქიტექტურის პრინციპების გამოყენება პროექტირებაში სავალდებულო არაა, შესაბამისად ეს დარგი საქართველოში „ახალი ხილია“. ფოთის რუქის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ განაშენიანების მეხუთედი ნაწილი უკავია საწარმოო ზონას, რომელშიც ინტეგრირებულია საქალაქო და საქვეყნო მნიშვნელობის გზები და ასევე რკინიგზა. აღსანიშნავია, რომ ქალაქს გააჩნია მოქმედი პორტი და აეროპორტი, რაც ქალაქს იდეალურ შესაძლებლობას აძლევს განავითაროს ინდუსტრიული ტიპის საქმიანობები.

**დასკვნა:** კვლევა აჩვენებს, რომ ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე ენერგოეფექტური ქარხნის პროექტირებისთვის არაერთი ხელისშემწყობი ფაქტორია. წარმოდგენილი პროექტი პოზიტიურად იმოქმედებს ქალაქის ეკოლოგიაზე, ეკონომიკაზე და ხელს შეუწყობს მის ურბანულ განვითარებასაც. ასევე, ენერგოეფექტური ქარხნის პროექტი სანიმუშო გახდება ადგილობრივი (და არამარტო) საზოგადოებისთვის და აამაღლებს ცნობიერებას მდგრადი პროექტირების დარგში.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგოეფექტური, ქარხანა, მდგრადი არქიტექტურა, მწვანე არქიტექტურა, ელექტრომანქანა, ფოთი.